თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4137990

ნომერი: AR1623670

თარიღი : 17.08.2018

გაცემის თარიღი : 27.08.2018

გაცნობის თარიღი : 28.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 26ა; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 26ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა პატარიძე პ/ნ 01025020615
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 2 ბ. 41

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი NAR1623670 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, N01.10.06.006.209; N01.10.06.006.273; N01.10.06.006.263; N01.10.06.006.277; და N01.10.06.006.245; საკადასტრო ერთეულებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვის გაცემის შეწყვეტას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2018 წლის 16 ივლისს N4116358 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი II, ი. პეტრიწის და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის, (ნაკვეთიN6/72) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.06.006.277),
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 2/ ბლოკი ა) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისში, დიდ დიღომში, დიმიტრი თავდადებულის ქ., კორპ. N2-ის მიმდებარედ, N01.10.06.006.209; N01.10.06.006.263; და N01.10.06.006.245; საკადასტრო ერთეულებზე, ამ ეტაპზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

ასევე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი რეკვიზიტებით, საკადასტრო კოდი N01.10.06.006.273; ობიექტის იდენთიფიცირება ვერ ხერხდება.

იმისათვის, რომ თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ხუთივე საკადასტრო ერთეულის: N01.10.06.006.209; N01.10.06.006.273; N01.10.06.006.263; N01.10.06.006.277; და N01.10.06.006.245; ცნობის სახით მიღებასთან დაკავშირებით, საჭიროა ინტერაქტიულ რუქაზე მონიშნოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი დანარჩენი ოთხი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდებიც: N01.10.06.006.209; N01.10.06.006.273; N01.10.06.006.263; N01.10.06.006.245; იმის გამო, რომ ამჟამად შეტყობინების სახით არის მონიშნული მხოლოდ N01.10.06.006.277; საკადასტრო ერთეული, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ცნობად მიღებასთან დაკავშირებით, დანარჩენ ოთხ N01.10.06.006.209; N01.10.06.006.273; N01.10.06.006.263; N01.10.06.006.245; საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებთან მიმართებაში.

დამატებით განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით.

საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge